USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

რეფორმეტრი

გადახდისუუნარობის რეფორმის პროგრესის შეფასება

ISET კვლევითი ინსტიტუტი

2022

შენიშვნა: *ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

სარჩევი

გადახდისუუნარობის რეფორმის შესახებ 3

რეფორმეტრის მეთოდოლოგია 3

რეფორმის დამნერგავი უწყებების პროგრესის შეფასება 4

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა 5

რეფორმის პროგრესის შეფასების ინდიკატორები 6

1. გადახდისუუნარობის საქმეთა ხანგრძლივობა 7
2. გადახდისუუნარობის საქმეთა რაოდენობა 8
3. სერტიფიცირებული და ავტორიზებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები 10

დანართი 1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი 12

დანართი 2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული გადახდისუუნარობის საქმეებთან დაკავშირებული სერვისები, 2012-2021 13

დანართი 3. გადახდისუუნარობის საქმეთა სტატისტიკა, 2011-2020 14

დანართი 4. გადახდისუუნარობის რეფორმის საჯარო-კერძო დიალოგზე წარმოდგენილი პრეზენტაციები - რეფორმეტრი; იუსტიციის სასწავლო ცენტრი 15

გადახდისუუნარობის რეფორმის შესახებ

გადახდისუუნარობის მიმდინარე რეფორმამდე გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში მკვეთრად განსხვავდებოდა საერთაშორისო სტანდარტებისგან - ის ვერ აკმაყოფილებდა ვერც მოვალეთა და ვერც კრედიტორთა ინტერესებს და გადახდისუუნარო სუბიექტებისთვის არ ქმნიდა რეაბილიტაციის, როგორც ფინანსური პრობლემების დაძლევის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევის სტიმულებს. ამ გამოწვევების გადასალახად, ხანგრძლივი მულტისექტორული განხილვის შემდეგ, შეიქმნა ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", რომელიც ძალაში 2021 წლის აპრილში შევიდა. მისი მიზანია „კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით"[1][2]. ხსენებული მიზნის მისაღწევად კანონს შემოაქვს რამდენიმე ინოვაციური ინსტრუმენტი, მნიშვნელოვნად ცვლის გადახდისუუნარობის მარეგულირებელ ინსტიტუციურ სტრუქტურას და უზრუნველყოფს პროცესის მაქსიმალურ ეფექტურობას.

რეფორმეტრის მეთოდოლოგია

რეფორმეტრის ფარგლებში შერჩეული ეკონომიკური რეფორმები 3 ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენებით ფასდება:

1. **სამთავრობო კვლევა** ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-100% შუალედში ზომავს რამდენად ახლოს არიან რეფორმის დამნერგავი უწყებები რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.
2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის** ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (მეტი დეტალი დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შესახებ იხილეთ დანართ 1-ში).
3. რეფორმის პროგრესის შესაფასებლად ასევე გამოყენებულია კონკრეტულ რეფორმაზე მორგებული **ობიექტური ეკონომიკური ინდიკატორები**.

გადახდისუუნარობის რეფორმის შეფასება აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტს. თუმცა, რადგან რეფორმის დანერგვა მთავრობის აქტივობების ნაწილში თითქმის დასრულებულია, სამთავრობო გამოკითხვის კომპონენტი მცირედით მოდიფიცირდა. იგი მოიცავს პროგრესის მხოლოდ ხარისხობრივ შეფასებას და აკვირდება რამდენად შეესაბამება

[1] მუხლი 1, საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ". ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4993950?publication=0

[2] წინა საკანონმდებლო ჩარჩოს გაცხადებული მიზანი კრედიტორებისა და მოვალეების ინტერესების თანაბარი დაცვა იყო, რაც არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოვალეთა უფლებების დაცვას (USAID - .

რეფორმის დანერგვის პროცესი წინასწარ გაწერილ გეგმას, რომელიც იდენტიფიცირდა კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად.

გადახდისუუნარობის რეფორმის პირველი შეფასება 2021 წლის 23 დეკემბერს ჩატარებული საჯარო-კერძო დიალოგისას განხორციელდა. რეფორმეტრის ფარგლებში კიდევ ორი მსგავსი ღონისძიებაა დაგეგმილი ერთწლიანი ინტერვალებით.

რეფორმის დამნერგავი უწყებების პროგრესის შეფასება

გადახდისუუნარობის რეფორმას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს. რეფორმის გარკვეული კომპონენტების დანერგვაში ჩართულია აღსრულების ეროვნული ბიურო[3] და იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ხოლო ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA) რეფორმის განხორციელებაში ჩართული ყველაზე მსხვილი პროფესიული გაერთიანებაა. დიაგრამა 1-ზე წარმოდგენილია გადახდისუუნარობის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მათი განხორციელების სტატუსისა და განმახორციელებელი უწყებების მიხედვით.

დიაგრამა 1 : გადახდისუუნარობის რეფორმის აქტივობები მათი განხორციელების სტატუსისა და განმახორციელებელი უწყებების მიხედვით



რეფორმის დამნერგავ უწყებებთან ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის თანახმად, რეფორმა წარმატებით ხორციელდება. მათი შეფასებით, რეფორმის დანერგვისთვის არსებითი მთავარი ნაბიჯები უკვე გადადგმულია: ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მიღებულია; გადახდისუუნარობის საქმეების ეფექტურად სამართავად მოქმედებს ელექტრონული სისტემა; გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების სერტიფიცირებისა და ავტორიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულია; გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებისათვის შემოღებულია პროფესიული დაზღვევის პოლისი. მიუხედავად ამისა, გარკვეული სირთულეები კვლავ სახეზეა, მათ შორის ყველაზე დიდ გამოწვევას ახალი კანონის

[3] გადახდისუუნარობის წინა საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა გადახდისუუნარობის საქმეების მიმდინარეობაში - იგი ასრულებდა მეურვისა და გაკოტრების მმართველის (კანონის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში) როლს და სთავაზობდა აუქციონის სერვისს გადახდისუუნარო საწარმოებს. მე-2 დანართში აღწერილია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული გადახდისუუნარობის საქმეებთან დაკავშირებული სერვისების დინამიკა 2012-2021 წლებში.

შესახებ კერძო სექტორში (განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებში) ინფორმაციის ნაკლებობა და დაბალი ცნობიერება წარმოადგენს.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა რეფორმა 10 ქულიან შკალაზე 7.75 ქულით შეაფასა, რაც რეფორმის წარმატებულ მიმდინარეობაზე მიუთითებს. როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა გამოსახული, სამი კომპონენტი (რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა, პროგრესი და მოსალოდნელი შედეგები) შეფასებულია, როგორც ძლიერი, ხოლო რეფორმის სფეროში არსებული ვითარება - როგორც ზომიერი.

დაინტერესებულ მხარეთა მიხედვით

გადახდისუუნარობის რეფორმის შესახებ გამართულ საჯარო-კერძო დიალოგს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე ესწრებოდა, მათ შორის იუსტიციის სამინისტროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის, სასამართლოს, ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის, ბიზნესის, სექტორული და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები[4]. დისკუსიისას წარმოდგენილი მოსაზრებებიდან და შეფასებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა მიმოიხილეს გადახდისუუნარობის რეფორმის მიმდინარეობა და მისი ძირითადი მიზნები. ახალი კანონი გადახდისუუნარობის პროცესს უფრო ეფექტიანსა და მოქნილს ხდის, ძირითად მიზნად კი კრედიტორთა კოლექტიურ დაკმაყოფილებას ისახავს, საუკეთესო შემთხვევაში საწარმოთა რეაბილიტაციის მიღწევით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კანონს რამდენიმე ინოვაციური მექანიზმი შემოაქვს: მაგალითად, ახალი კანონის მიხედვით, ფირმებს გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციაში გადაყვანის შესაძლებლობა უჩნდებათ; ასევე, საწარმოს მფლობელებს უფლება აქვთ დარჩნენ საწარმოს მმართველობაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას; კრედიტორებს კანონი აძლევს გარანტიას, რომ რეაბილიტაციისას ისინი სულ მცირე იმ დონეზე დაკმაყოფილდებიან, რაც საწარმოს გაკოტრებისას არის მოსალოდნელი. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მოქნილობის უზრუნველსაყოფად კანონს შემოაქვს გადახდისუუნარობის საქმეთა მართვის ელექტრონული სისტემა. სისტემაში თავსდება

[4] დანართ 4.-ში წინამდებარე დოკუმენტის ბმულის სახით მოცემულია გადახდისუუნარობსი რეფორმის საჯარო-კერძო დიალოგზე რეფორმეტრის გუნდისა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მნიშვნელოვანი ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის სასამართლო განჩინებები, განცხადებები. სისტემამ უნდა უზრუნველყოს გადახდისუუნარობის საქმეთა მარტივი და ელექტრონული წესით მართვა.

- კანონის მიერ წარმოდგენილი ინოვაციური ინსტრუმენტებიდან მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის დავების სასამართლოს მიღმა წარმართვის მექანიზმი - რეგულირებული შეთანხმება. ეს მექანიზმი ფირმებს აძლევს საშუალებას, ფინანსური დაბრკოლებების გაჩენისთანავე იზრუნონ მათ აღმოფხვრაზე.
- გადახდისუუნარობის პროცესის გასამარტივებლად თითოეულ კომპანიას გადახდისუუნარობის კვალიფიციური მმართველი - გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ეყოლება; გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი კანონის მიერ დანერგილი ახალი ინსტიტუტია. პრაქტიკოსთა ლიცენზირებისთვის კანონმდებლობა ორსაფეხურიან პროცედურას განსაზღვრავს - პრაქტიკოსთა სერტიფიცირება და ავტორიზება. პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროცესი იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ იმართება. სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებულმა პრაქტიკოსებმა უნდა ჩააბარონ შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდა. სერტიფიცირებულ კანდიდატებს შეუძლიათ ავტორიზებისთვის აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართონ, რომელიც გასაუბრების შემდეგ წარმატებულ კანდიდატებს ავტორიზაციას ანიჭებს. სერტიფიცირებისა და ავტორიზაციის პირველი ეტაპი 2021 წლის ოქტომბერში დასრულდა და შედეგად 18 პრაქტიკოსს მიენიჭა ავტორიზაცია. პრაქტიკოსთა ტრენინგი 7 ძირითად მოდულს მოიცავდა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლის შეფასებით, დროის სიმცირის გამო საგანმანათლებლო პროცესი შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელდა, რაც მონაწილეებისთვის სირთულეს წარმოადგენდა. სამომავლოდ, ტრენინგების ოპტიმალურ ხანგრძლივობად 2 თვეა შემოთავაზებული.
- ახალი კანონის პრაქტიკაში წარმატებული დანერგვისთვის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი კერძო სექტორში კანონის შესახებ ცნობიერების დაბალი დონეა. კომპანიებმა ხშირად არ იციან ახალი კანონისა და შესაბამისი სარგებლის შესახებ ან სათანადოდ ვერ იყენებენ მას. საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლის შეფასებით, ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოს მიმართ დაფიქსირდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მოთხოვნა მაშინ, როცა ფინანსური სირთულის გადასაწყვეტად, შესაძლოა, რეგულირებული შეთანხმება ყოფილიყო ოპტიმალური მექანიზმი. გარდა ამისა, გადახდისუუნარობის პროცესი კერძო სექტორში ხშირად სტიგმატიზებულია. ამჟამად BRIPA აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რათა პროცესისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს და იგი კერძო სექტორმა აღიქვას, როგორც „რეაბილიტაციის სერვისი“.
- მნიშვნელოვანი პრობლემაა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგნელის თანახმად, საკითხის მოსაგვარებლად სამომავლოდ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა იგეგმება, თუმცა, ამჟამად საკითხთან მიმართებით რაიმე კონკრეტული გეგმა არ არსებობს, რადგან თემა საგრძნობლად კომპლექსურია და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება დიდ რესურსებს მოითხოვს.

რეფორმის პროგრესის შეფასების ინდიკატორები

გადახდისუუნარობის რეფორმის პროგრესის შესაფასებლად რეფორმეტრის გუნდმა შეარჩია რამდენიმე ინდიკატორი, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის

ეფექტურობას აკვირდება. ანგარიშის ქვემოთ მოცემულ ნაწილებში წარმოდგენილია თითოეული ინდიკატორის დეტალური ანალიზი:

I. გადახდისუუნარობის საქმეთა ხანგრძლივობა

გადახდისუუნარობის საქმეთა ხანგრძლივობა გადახდისუუნარობის რეფორმის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ძველი კანონმდებლობა საქმის წარმოებისას სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების სტიმულებს ნაკლებად წარმოშობდა, რაც ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში გამოსწორებულია[5].

ამ ძირითადი ინდიკატორის ქვეშ რეფორმეტრის გუნდი აკვირდება როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებული საქმეების ხანგრძლივობას. ქვემოთ მოცემული მონაცემები დაფუძნებულია ელექტრონულ პორტალ Ecourt.ge-ზე გამოქვეყნებულ გადახდისუუნარობის საქმეებზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პორტალის 2019 წლიდან არის განახლებული. შესაბამისად, მასზე არ იძებნება 2019 წლამდე დასრულებული საქმეები[6].

1.1. დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა

გრაფიკი I ასახავს დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების საშუალო ხანგრძლივობის (წლებში) დინამიკას 2019-2021 წლებისთვის. მოცემულ პერიოდში დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა 4.5 წელს შეადგენს.

გრაფიკი I. გადახდისუუნარობის დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა, 2019-2021.



***წყარო:* Ecourt.ge**

[5] ახალი კანონის თანახმად, რეაბილიტაციის რეჟიმისა და რეგულირებული შეთანხმების დასასრულებლად გამოყოფილია მაქსიმუმ 4-დან 9 თვემდე. გაკოტრების რეჟიმის დასრულების მაქსიმალური ვადა კანონში არ არის გაწერილი.

[6] www.ecourt.ge

1.2. მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმეების ხანგრძლივობა

მეორე ქვე-ინდიკატორი აფასებს მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმეების საშუალო და მედიანურ ხანგრძლივობას დროის მოცემულ მომენტში (გრაფიკი 2). ხანგრძლივობის მედიანური მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს, ანალიზისას გამოვრიცხოთ განსაკუთრებით ხანგრძლივი რამდენიმე საქმის ეფექტი, რომლებმაც, შესაძლოა, ხანგრძლივობის საშუალო მნიშვნელობის არაზუსტი ინტერპრეტირება გამოიწვიოს.

გრაფიკი 2. გადახდისუუნარობის მიმდინარე საქმეების საშუალო და მედიანური ხანგრძლივობა, 2019-2021.



***წყარო:* Ecourt.ge**

მე-2 გრაფიკის თანახმად, მიმდინარე საქმეების ხანგრძლივობა ზომიერად მცირდებოდა 2019 წლის პირველ ნახევარში, ხოლო 2019 წლის მეორე ნახევრისა და მთელი 2020 წლის განმავლობაში მაჩვენებელი ძირითადად გაუარესებულია. გაუარესება ნაწილობრივ გაგრძელდა 2021 წელსაც.

2. გადახდისუუნარობის საქმეთა რაოდენობა[7]

გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა რეფორმის შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომლის ქვეშაც რეფორმეტრის გუნდი აკვირდება როგორც განსახილველ, ასევე დასრულებულ საქმეთა დინამიკას.

2.1. განსახილველი გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა

მე-3 გრაფიკი წარმოადგენს სასამართლოში **განსახილველი გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობას** 2011-2020 წლებისთვის. თითოეული წლისთვის, განსახილველი გადახდისუუნარობის საქმეთა რაოდენობა არის შემდეგი ორი ქვე-ინდიკატორის ჯამი: 1. წლის

[7] აღნიშნული ანალიზი დაფუძნებულია უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ მონაცეებზე. დეტალური ინფორმაციისთვის დანართი 3 წარმოადგენს აღნიშნულ მონაცემებს.

დასაწყისისთვის არსებული გადახდისუუნარობის საქმეთა ნაშთი და 2. საანგარიშო პერიოდში შემოსული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა.

მე-3 გრაფიკის თანახმად, 2014 წლიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული გადახდისუუნარობის საქმეთა რაოდენობა მცირდება, თუმცა წინა პერიოდიდან დაგროვილი გადახდისუუნარობის საქმეთა ნაშთი იზრდება. წარმოდგენილი დინამიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გადახდისუუნარობის საქმეთა დასრულების ტემპი საკმაოდ დაბალია, რაც უარყოფითად მოქმედებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის ეფექტურობაზე.

გრაფიკი 3. განსახილველი გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა, 2011-2020.



წყარო: უზენაესი სასამართლო

2.2. დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა

აღნიშნული ქვე-ინდიკატორი აკვირდება დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების დინამიკას. უფრო კონკრეტულად, ჩვენ ვუყურებთ გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობას და მის ფარდობას წლის დასაწყისში არსებული გადახდისუუნარობის საქმეების ნაშთთან. მე-4 გრაფიკის თანახმად, გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა მერყეობდა საანგარიშო პერიოდში. 2016 წლიდან ეს მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა კვლავ შემცირდა 2020 წელს, სავარაუდოდ პანდემიის ეფექტის გამო. ინდიკატორის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების ტემპი და ეფექტურობა საკმაოდ დაბალი იყო.

გრაფიკი 4. დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა, 2011-2020.



წყარო: უზენაესი სასამართლო

3. სერტიფიცირებული და ავტორიზებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები

გადახდისუუნარობის რეფორმის კიდევ ერთი მიზანი გადახდისუუნარობის პროცესის მოქნილობისა და სიმარტივის გაზრდაა. ამისთვის, კანონი ახალი პროფესიის - გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების ინსტიტუტს ნერგავს. რეფორმის აღნიშნული კომპონენტის შეფასება შემდეგი ინდიკატორებითაა შესაძლებელი:

1. სერტიფიცირებული პრაქტიკოსების რაოდენობა და მათი წილი სასერტიფიკატო პროგრამის მონაწილეებში.
2. ავტორიზებული პრაქტიკოსების რაოდენობა და მათი წილი იმ პრაქტიკოსებში, რომელთაც მიმართეს ავტორიზაციის გამცემ ორგანოს.

მონაცემები ამ ინდიკატორებისთვის მიღებულია იუსტიციის სასწავლო ცენტრის, BRIPA-სა და აღსრულების ეროვნული ბიუროდან. მონაცემთა თანახმად, ტრენინგის 40 მონაწილიდან სერტიფიცირებული გახდა 21 (53%), რომელთაგან 20-მა პირმა მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს ავტორიზაციისთვის. საბოლოოდ ავტორიზაცია მიენიჭა 18 (90%) პრაქტიკოსს.

გრაფიკი 5. სერტიფიცირებული და ავტორიზებული პრაქტიკოსები

წყარო: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, აღსრულების ეროვნული ბიურო

დანართი 1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი

გთხოვთ, მიუთითოთ რამდენი ქულით შეაფასებდით რეფორმას თითოეული მიმართულებით 10-ქულიან შკალაზე (1-ყველაზე დაბალი შეფასება, 10-საუკეთესო შეფასება):

შინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად პასუხობს რეფორმის მიზნები ქართულ რეალობაში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. როგორ შეაფასებდით რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

პროგრესი

1. როგორ შეაფასებდით რეფორმის ფარგლებში დღეის მდგომარეობით გატარებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. რამდენად უწყობს ხელს რეფორმის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები ეკონომიკური ზრდის შემზღუდველი ფაქტორების მოხსნას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

არსებული ვითარება

1. როგორ შეაფასებდით გადახდისუუნარობის სფეროში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

მოსალოდნელი შედეგები

1. მიაღწევს თუ არა რეფორმა დასახულ მიზნებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. არის თუ არა რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დანართი 2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული გადახდისუუნარობის საქმეებთან დაკავშირებული სერვისები, 2012-2021

	2012				2013				2014				2015				2016				2017				2018				2019				2020				2021			
შესრულებული სამუშაოები	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა	შემოვიდა	დამთავრდა	შეწყდა	დასრულდა
მეურვეობა	27	15	4	19	11	8	7	15	17	13	3	16	42	30	0	30	41	25	6	31	25	23	5	28	27	11	3	14	38	1	11	12	28	3	13	16	4	1	2	3
გაკოტრება	45	27	0	27	6	7	0	7	9	2	0	2	24	4	0	4	14	13	0	13	20	10	0	10	7	4	1	5	0	15	0	15	0	11	0	11	0	2	0	2
საუნივერსიტეტო მომსახურება	0	0	0	0	2	1	1	2	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	1	0	0	0	0	0	0	0	0
სულ	**72**	**42**	**4**	**46**	**19**	**16**	**8**	**24**	**26**	**15**	**3**	**18**	**66**	**34**	**0**	**34**	**56**	**38**	**6**	**44**	**45**	**33**	**5**	**38**	**35**	**15**	**4**	**19**	**38**	**17**	**11**	**28**	**28**	**14**	**13**	**27**	**4**	**3**	**2**	**5**

წყარო: აღსრულების ეროვნული ბიურო

დანართი 3. გადახდისუუნარობის საქმეთა სტატისტიკა, 2011-2020

	განსახილველი საქმეები	საქმეები, რომლებიც შემოვიდა საანგარიშო პერიოდში	დასრულებული საქმეები	მათ შორის					
				უარი ეთქვა მიღებაზე	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის სარჩელის დაკმაყოფილებით	შეწყვეტილი წარმოებით	სარჩელი დატოვებულია განუხილველად	გადაეცა სხვა სასამართლოს
2011	102	46	52	22	19	18	9	2	
2012	126	77	77	46	22	22	3	5	1
2013	118	69	66	52	7	5	7		
2014	212	160	150	142	3	3	3	2	
2015	217	154	125	111	4	4	8	2	
2016	214	121	109	76	12	12	16	4	1
2017	199	94	81	61	13	12	3	4	10
2018	178	58	60	40	11	9	8	1	
2019	211	87	68	39	15	13	8	5	1
2020	175	33	41	19	8	8	11	3	

წყარო: უზენაესი სასამართლო

დანართი 4. გადახდისუუნარობის რეფორმის საჯარო-კერძო დიალოგზე წარმოდგენილი პრეზენტაციები - რეფორმეტრი; იუსტიციის სასწავლო ცენტრი

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

The USAID Economic Governance Program

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

დღის წესრიგი

- ღონისძიების გახსნა და რეფორმეტრის PPD პლატფორმის წარდგენა
- გადახდისუუნარობის რეფორმის წარდგენა
- რეფორმის პროგრესის შეფასება და ინდიკატორების წარდგენა
- საჯარო-კერძო დიალოგი და რეფორმის შეფასება დაინტერესებული მხარეების მხრიდან

რეფორმეტრის შესახებ

- რეფორმეტრის მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2017-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
    - გადახდისუუნარობის რეფორმა
    - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
    - საგადასახადო დავების გადაწყვეტის რეფორმა

გადახდისუუნარობის რეფორმის აქტივობები

საკანონმდებლო ჩარჩო	კანონის შემუშავება და მიღება - **იუსტიციის სამინისტრო**		
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა - **იუსტიციის სამინისტრო** პრაქტიკოსთა რეესტრი - **იუსტიციის სამინისტრო**	ცხელი ხაზის მომსახურების, INSOL AID-ის დანერგვა - **BRIPA**	
ინსტიტუციური მოწყობა	პროფესიული დაზღვევის პოლისის შემუშავება - **იუსტიციის სამინისტრო** პრაქტიკოსთა ავტორიზაცია - **აღსრულების ეროვნული ბიურო**	პრაქტიკოსთა ეთიკის კოდექსის შემუშავება - **BRIPA**	პრაქტიკოსთა კატეგორიების განსაზღვრა - **იუსტიციის სამინისტრო**
კომპეტენციების გაძლიერება	პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამის შემუშავება და დანერგვა - **იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი**	ტრენინგები, ვორქშოპები რეფორმის შესახებ - **BRIPA** მოსამართლეების გადამზადება - **BRIPA**	

განხორციელებული — მიმდინარე — სამომავლო

შედეგები და მიზნები

საკანონმდებლო ჩარჩო	გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ეფექტიანობა გაუმჯობესებულია
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	გადახდისუუნარობის საქმეების განაწილებისა და ტექნიკური მართვის ეფექტურობა გაზრდილია
ინსტიტუციური მოწყობა	პრაქტიკოსთა ინსტიტუტი გაძლიერებულია
კომპეტენციების გაძლიერება	პრაქტიკოსთა კვალიფიკაცია ამაღლებულია ცნობიერება ახალ საკანონდებლო ჩარჩოზე გაზრდილია

შუალედური შედეგები

- საწარმოს აქტივების ღირებულება და კრედიტორთა მოთხოვნების ამოღების მაჩვენებელი გაზრდილია
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საშუალო ხარგრძლივობა შემცირებულია
- რეაბილიტირებული ბიზნესების რაოდენობა გაზრდილია
- ბიზნეს გარემო გაუმჯობესებულია
- მმართველობის ხარისხი გაუმჯობესებულია

რეფორმის მიზნები

რეფორმასთან დაკავშირებული ინდიკატორები

საქართველოს პოზიცია გადახდისუუნარობის ინდიკატორის მიხედვით, 2015-2020



წყარო: WB Doing Business Report

ქვეინდიკატორები



წყარო: WB Doing Business Report

დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა



წყარო: უზენაესი სასამართლო

მიმდინარე და დასრულებული საქმეების ხანგრძლივობა, წლები



წყარო: www.e-court.ge

გადახდისუუნარობის საქმეების სტატისტიკა (E-Court)

- 244 შემოსული საქმე
  - 162 წარმოებაში მიღებული საქმე
    - 89 საქმე გაკოტრების რეჟიმით
    - 20 საქმე რეაბილიტაციის რეჟიმით
  - 30 დასრულებული საქმე
    - 28 საქმე გაკოტრების რეჟიმით
    - 2 საქმე რეაბილიტაციის რეჟიმით
  - 52 საქმე არ მიღებულა წარმოებაში

დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა

4.5 დასრულებულ საქმეთა საშუალო ხანგრძლივობა (წელი)

3.1 დასრულებულ საქმეთა საშუალო ხანგრძლივობა გაკოტრების რეჟიმის მინიჭებიდან (წელი)

4.8 დასრულებულ საქმეთა საშუალო ხანგრძლივობა რეაბილიტაციის რეჟიმის მინიჭებიდან (წელი)



წყარო: www.e-court.ge

მიმდინარე საქმეთა ხანგრძლივობა (2019-2021)



წყარო: www.e-court.ge



წყარო: www.e-court.ge

სერტიფიცირებული და ავტორიზებული პრაქტიკოსები

სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე	40
სერტიფიცირებული მონაწილე	21
ავტორიზებული პრაქტიკოსი	18

გადახდისუუნარობის რეფორმა - შედეგებისა და გავლენის ობიექტური ინდიკატორები

	ინდიკატორი	წყარო
1	წამოწყებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა	სასამართლოები, e-court
2	მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა	სასამართლოები, e-court
3	დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა	სასამართლოები, e-court
4	რეჟიმების წილი დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეებში	e-court
5	გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საშუალო ხანგრძლივობა	e-court
6	მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმეების საშუალო ხანგრძლივობა	e-court
7	დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების საშუალო ხანგრძლივობა	e-court
8	მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ ინდექსში გადახდისუუნარობის კომპონენტის ქულა და რეიტინგი	World Bank, Doing Business
9	გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა რაოდენობა (სერტიფიცირებული, ავტორიზებული პრაქტიკოსები)	იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი, აღსრულების ეროვნული ბიურო, BRIPA
10	რეგულირებულ შეთანხმებათა რაოდენობა	e-court, BRIPA
11	გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რეჟიმში გადასული რეგულირებული შეთანხმებები	e-court, BRIPA
12	გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხარჯები (გადახდისუუნარობის მასის %)	N/A
13	კრედიტორთა მოთხოვნების ამოღების მაჩვენებელი (%)	N/A

G-EPI - ეკონომიკური მდგომარეობის ინდექსი



ინდექსი მოიცავს 5 კომპონენტს:

- რეალური მშპ-ს ზრდა (%)
- ინფლაცია (%)
- ექსპორტის ფარდობა მშპ-სთან (%)
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობა მშპ-სთან (%)
- ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-სთან (%)

G-ESI - ეკონომიკისადმი განწყობის ინდექსი



ინდექსი აერთიანებს ორ დამოუკიდებელ გამოკითხვას:

- მომხმარებელთა განწყობის ინდექსი (CCI)
- ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI)

გმადლობთ

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

The USAID Economic
Governance Program

ISET

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

The USAID Economic Governance Program

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირება

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამა:

- გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსი;
- გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსი

სწავლების თარიღები: 2021 წლის 29 მაისიდან 2021 წლის 19 ივნისის ჩათვლით.

სწავლება მიმდინარეობდა: ელექტრონული პლატფორმა “Zoom” -ის მეშვეობით.

კურსი ხანგრძლივობა: 7 მოდული, 85 საკონტაქტო საათი, 18 სატრენინგო დღე.

სწავლების დრო: 9:00 -15:00 საათი (შესვენება 1 საათი, ჯამში სატრენინგო დღე მოიცავდა 6 საათს).

რეგისტრირებულთა რაოდენობა: 40 მონაწილე, 2 ჯგუფი.

- სასწავლო კურსზე დასწრების მაჩვენებელი შეადგენს არანაკლებ 75 საათს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირება

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ სავალდებულო მოდულებს:

ა) გადახდისუუნარობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის საფუძვლები (30 საათი);

ბ) სამეწარმეო სამართლის საფუძვლები (5 საათი);

გ) საგადასახადო სამართლის საფუძვლები (10 საათი);

დ) საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის საფუძვლები (5 საათი);

ე) სახელშეკრულებო და შრომითი სამართლის საფუძვლები (5 საათი)

ვ) გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ზოგადი უნარ-ჩვევები (20 საათი);

ზ) პროფესიული ეთიკა (10 საათი).

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

საკვალიფიკაციო გამოცდა

- გამოცდა მოიცავს **100** ტესტურ დავალებას, **3** საათი.
- საკვაფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ მონაწილემ მიიღო **75** ან მეტი ქულა.
- გამოცდაზე დარეგისტრირდა **40** აპლიკანტი, ხოლო **75** ქულაზე მეტი მიიღო **21** აპლიკანტმა.
- სულ დარეგისტრირდა **8** საპრეტენზიო განცხადება. კომისიის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული განცხადებები არ დაკმაყოფილდა.

სტატისტიკა

მონაწილეთა სტატისტიკა პროფესიულ ჭრილში



რეგისტრირებული აპლიკანტები გენდერულ ჭრილში



საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები



შედეგები



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

მადლობა ყურადღებისთვის!

კითხვები?